# ხელიდან გაშვებული მოგება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 28 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 2:3.

“დინამო”: ბალაძე, ხვანაძე, ჩივაძე, უკლება, ბარათაშვილი, კაკილაშვილი, გოგრიჭიანი, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია, შეგელია.

“ზენიტი”: ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ვედენეევი, აფანასიევი, დოლგოპოლოვი, ჟელუდკოვი, ჩუხლოვი, ბროშინი, კლემენტიევი.

68–ე წთ. შენგელია, 76–ე წთ. ჩქარეული, 80–წთ. დმიტრიევი, 82–ე წთ. დმიტრიევი, 83–ე წთ. კლემენტიევი.

62–ე წთ. ჟვანიას ნაცვლად – ჩქარეული, 65–ე წთ. გოგრიჭიანის ნაცვლად – პაიკიძე, 55–ე წთ. ჩუხლოვის ნაცვლად დმიტრიევი, 67–ე წთ. ბროშინის ნაცვლად – ბარანიკი.

მსაჯი: ალექსანდრე სპირინი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 18:24 (8:10), ზუსტი დარტყმა 6:8 (1:3).

საჯარიმო მოედნიდან – 5:8 (2:4).

კუთხური – 11:7 (7:6).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 8 (6), ლენინგრადელები 20 (14).

არ მახსოვს ლენინგრადის “ზენიტს” ასეთ მოკლე პერიოდში მოეპოვებინოს ამგვარი წარმატებები: გუნდი ახლა საბჭოთა ფეხბურთის ლიდერთა შორის იმყოფება, შარშანდელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, წლეულს – მესამე ადგილზე იმყოფება, სსრ კავშირის თასის ფინალშიც გავიდა, თანაც, სიმართლე რომ ითქვას, სრულიად მოულოდნელად წაგო გადამწყვეტი მატჩი მოსკოვის “დინამოსთან”. რამდენიმე ლენინგრადელი ფეხბურთელი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებშიც გამოდის, იური ჟელუდკოვი საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია და ა.შ.

ერთი სიტყვით, ლენინგრადის “ზენიტი” ახლა ერთ–ერთი უძლიერესი გუნდია ჩვენში, მას აშკარად ეტყობა უფროსი მწვრთნელის პაველ სადირინის ენერგიული, მცოდნე ხელი. სარეცენზიო წერილის დასაწყისში ამდენი იმიტომ ვილაპარაკეთ ჩვენს სტუმრებზე, რომ თბილისის დინამოელებს კარგად უნდა სცოდნოდათ, როცა ანგარიში იყო 2:0 მათს სასარგებლოდ და მატჩის დამთავრებას სულ რაღაც ათიოდე წუთი აკლდა, საჭირო იყო თამაში არა მესამე ბურთის გასატანად, არამედ ნახევარდაცვისა და დაცვის საფუძვლიანი, საიმედო გამაგრება და მიღწეული მონაპოვრის შენარჩუნება. მით უმეტეს, ეს აუცილებელი იყო ჩვენი სტუმრების ამჟამინდელ ძლიერ გუნდთან.

ის უპირატესობა, რომელიც თბილისელებს მე–80 წუთისთვის ჰქონდათ, მათ მოიპოვეს უკიდურესად დაძაბულ, ძნელ ბრძოლაში. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, როცა მასპინძლები ხანგრძლივად უტევდნენ, როცა მათი ტერიტორიული უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მაშინაც კი ზენიტელებმა ორი ისეთი კონტრშეტევა განახორციელეს, რომ დინამოელთა კარი სასწაულით გადაურჩა გოლებს: პირველად, 30–ე წუთზე, აფანასიევმა ზუსტი გადაცემით მეკარე ბალაძის პირისპირ გაიყვანა ჩუხლოვი და ამ უკანასკნელმა ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის აშკარა შესაძლებლობა. 6 წუთის შემდეგ ჟელუდკოვმა შორი მანძილიდან მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა და “დინამო” ძელმა იხსნა. ჩემი აზრით, ეს ის სახიფათო სიგნალები იყო, რომლებიც

დინამოელებს სწორედ მაშინ უნდა გაეთვალისწინებინათ, როცა მატჩის დასასრულისათვის წინ იყვნენ და მეტოქისთვის არ მიეცათ საშუალება განეხორციელებინათ თავიანთი სახიფათო კონტრშეტევები.

მაგრამ თბილისელებმა ნაადრევად ირწმუნეს თავიანთი გამარჯვება, აშკარად შეასუსტეს კონტროლი დაცვის ზონაში, უყურადღებოდ ითამაშა მეკარემაც და ყველაფერი ეს მოხდა მაშინ, როცა ლენინგრადელები გამძაფრებით უტევდნენ ჩვენს კარს. ამას ისიც დაემატა, რომ დინამოელთა დაცვისა და ნახევარდაცვის რამდენიმე მოთამაშე, სრულიად გაუმართლებლად ცდილობდა გასულიყო მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მესამე გოლის გატანის იმედით.

ეს ჩვენი მცველების ის შეცდომა იყო, რომელზე უკეთესს "ზენიტის" ფეხბურთელები ვერც ინატრებდნენ. როცა მათ ხელ–ფეხი გაეხსნათ შუა მინდორში, მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზეც აღარ იყო სოლიდური, მონოლითური დაცვა, მათ არნახული მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს და მაქსიმალურად გამოიყენეს მეტოქის უზუსტობანი. 3 გოლი 3 წუთში. ეს ძალზე მოულოდნელი ამბავია საკავშირო ჩემპიონატის საპასუხისმგებლო მატჩში, მაგრამ მას შემთხვევითს ვერ უწოდებ: ამ 3 წუთში დინამოელი მცველები და მეკარე აშკარად შეცდნენ, რაც ზენიტელებმა დიდი ეფექტით გამოიყენეს.

დასანანია, რომ ჩვენმა გუნდმა ასეთი დიდი შრომა გასწია 80 წუთის განმავლობაში, აქტიური თამაშით აჯობა ერთ–ერთ ლიდერს და მერე სულ რაღაც 3 წუთში მოუფიქრებლობისა და დასანანი შეცდომების მეოხებით დათმო მატჩი.

ვიმეორებთ, "დინამო" წინ იყო და ამ უპირატესობას შენარჩუნება ესაჭიროებოდა. ასე იყო წინა მატჩში ვილნიუსის "ჟალგირისთან", მაშინ ეს უპირატესობა გააზრებული თამაშით შევინარჩუნეთ, ახლა კი მეტოქემ 2 ქულა წაგვართვა და ამაში ბრალს ვერავის დასდებ თვით თბილისის დინამოელთა გარდა.

კარლო გაგნიძე, სპორტის ოსტატი, თბილისის "დინამოს" ვეტერანი.
"ლელო", 29 ივლისი, 1984 წ.